

2017 წლის 4 მაისი

**ქ.თბილისი**

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 4 მაისს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის დ. ფულარიას ოქმი, მოხსენებითი ბარათი, მთავარი მსაჯის დ. ფირცხალავას მოხსენებითი ბარათი და თანამსაჯის დ. დანგაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 28 აპრილს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე ზესტაფონის „ზესტაფონი“-სა და ოზურგეთის „არწივებს“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

მატჩის მეორე ნახევარში, წამოწყებული ორმხრივი გუნდური ჩხუბის დროს, გამოირკვა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები :

**ზესტაფონის „ზესტაფონი“**

- 1) ლუკა ხეცაძე - კონფლიქტის პროვოცირება (დამწყები).
- 2) გიორგი სარალიძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
- 3) ზურაბ კუპატაძე (მწვრთნელი) - არაეთიკური, აგრესიული, არასპორტული საქციელი მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლების მიმართ.

**ოზურგეთის „არწივები“**

- 1) ავთო ჩხიკვიშვილი - კონფლიქტის პროვოცირება, მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
- 2) ბადრი გოგოტიშვილი - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
- 3) გიორგი ბარამიძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
- 4) გიორგი გაბრიელიძე - მატჩის მსვლელობისას სათამაშო მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე შესვლა, წარმოქმნილ კონფლიქტში მონაწილეობის მიზნით.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.1, 2.2.7, 2.2.8, 2.2.9, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.1, 2.7, 2.8, 2.9 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. ზესტაფონის „ზესტაფონი“-ს მორაგბე ლ. ხეცაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით.
2. ზესტაფონის „ზესტაფონი“-ს მორაგბე გ. სარალიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
3. ზესტაფონის „ზესტაფონი“-ს მწვრთნელი ზ. კუპატაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.



4. ოზურგეთის „არწივები“-ს მორაგბე ა. ჩხიკვიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 6 (ექვსი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
5. ოზურგეთის „არწივები“-ს მორაგბე ბ. გოგოტიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 5 (ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
6. ოზურგეთის „არწივები“-ს მორაგბე გ. ბარამიძე დისკვალიფიცირებული იქნას 4 (ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
7. ოზურგეთის „არწივები“-ს მორაგბე გ. გაბრიელიძე დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 100 (ასი) ლარით.
8. კლუბების მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის შესაბამისი პუნქტები და კლუბ ზესტაფონის „ზესტაფონს“, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა, ხოლო კლუბ ოზურგეთის „არწივებს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 7 (შვიდი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/